# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.—სამშაბათი, 23 მაისი 1900 წ. № 1132

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".

ტელეფონი № 372.



## სახალხო სეირნობა

### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულია 28 და 29 მაისს მუშტაიდის ბაღში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—43)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს

## სამს პრემიას—150 მ., 100 მ., 75 მ.,

დასაჯილდოვებლად ქართული ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებისა. პრემიის პირობებია შემდეგი:

1) საპრემიოთ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზე დაუდგმელი, დაუბეჭდავი და შეიცავდეს არა-ნაკლებ 4 მოქმედებისა.

**შენიშვნა: პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიან პიესასაც მისი განსაკუთრებით სალიტერატურო და სასცენო ღირსების გამო.**

2) დრამატ. საზოგ. გამგეობის სახელზე უნდა გამოგზავნოს პიესა რაიმე დევიზის წარწერით და დახურულ, კონვერტი, რომელშიც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქნება ჯილდოს ღირსად.

3) ვადა პიესის გამოგზავნისა დანიშნულია არა უგვიანეს პირველი სექტემბრის, 1900 წ.

4) პრემია მიეცემა მთლად ერთიანად ან და მხოლოდ ერთი ნაწილი.

5) «საზოგადოების» გამგეობას აქვს უპირატესი უფლება,—დაჯილდოვებული პიესა დადგას თავის თეატრში ორი წლის განმავლობაში დღიდან პრემიის მიცემისა; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე სხვას ვისმეს მისცეს წარმოდგენის უფლება, ხოლო ტფილისში პირველ ორ წელიწადს პიესას ვერავინ ვერ წარმოადგენს გამგეობის ნება-დაურთველად.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს ჰონორარად მიეცემა თითო დადგმაზე მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.

**შენიშვნა: სამ-მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.**

7) შედეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში. ნ. (10—8)

## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

**პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი** ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—**ადრესისა** და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება **„მოამბე"-„ცნობის ფურცლის" რედაქციაში.** (რ 0—16)

### წლიური საზოგადო

## კრება

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"** წევრთა დანიშნული 28 მაისისათვის, დილის თერთმეტ საათზე, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. წლიური ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1899 წელს.

2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურის ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3. სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისათვის.

4. არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (ნ. 1—1)


## ახალი ამბავი

✦ კვირას, 21 მაისს, **კავკასიის მთიულებთან ომის დასრულების დღესასწაულის დღეს,** ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა უფროსი მოხელენი.

✦ გუშინ, 22 მაისს, ტფილისის საოლქო სასამართლომ გამოაცხადა **განაჩენი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა და ნასირბეგოვის დავის შესახებ.** სასამართლომ მიუსაჯა ნასირბეგოვს ბანკისაგან 36,600 მანათი და უარი უთხრა დანარჩენ 3000 მანათზე.

✦ **ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიის** უკანასკნელ სხდომაზე, ტფ. გუბერნატორის წინადადების თანახმად, დადგენილ იქმნა: მოყვანილ იქმნას სისრულეში ყველა ის ზომები, რომელიც შარშან შემოდგომაზე შეიმუშავა კომისიამ, თუ ტფილისში ან ახლო-მახლო ადგილებში შავი ჭირი გაჩნდა. გარდა ამისა კომისიამ საჭიროდ დაინახა: 1) სანიტარული კომისიების მოქმედება დაიწყოს შემდეგში; 2) სანიტარულ და საექიმო ზედამხედველობის გაძლიერებისათვის ფაბრიკებში, ქარხნებში, ბაკებში და ყველგან, სადაც კი გროვდება მუშა-ხალხი, მოწვეულ იქმნას 3 თვით საქალაქო ექიმთა დასახმარებლად კიდევ სამი ექიმი და 3 ფელდშერი; პირველად დაენიშნოს თვეში ას-ასი მანათი, მეორეთ 35 მან. თვეში თითოეულს; 3) დაევალოს აღმასრულებელ-სანიტარულ კომისიის ყველა წევრთ მოწმობები, რომელთა ძალით მათ შეუძლიანთ ყველა სახლების და დაწესებულების სანიტარული გასინჯვა; 4) დაუყოვნებლივ და ბეჯითად გაიწმინდოს მდ. მტკვრის ნაპირები და მთელი ქალაქი, გაძლიერებულ იქმნას ზედამხედველობა ქუჩების დამგველებზე და მიექციოს უმთავრესი ყურადღება ქალაქის განაპირა ადგილების გასუფთავებას; 5) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ იყოლიოს საკმაო რიცხვი მუშებისა და გაიჩინოს პოვოზკები ნაგვის გასატანად; 6) დაინიშნოს 12 ადგილი, სადაც შეიძლება ნაგვის გადაყრა; 7) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას დააჩქაროს კანალიზაცია საყასპოებში ქალაქის ინჟენერის პროექტის თანახმად; 8) რადგანაც საპნისა და ქონის გადამდნობი ქარხნები ქალაქის მე-6 ნაწილში მეტად ცუდ სანიტარულ მდგომარეობაში არიან, ეთხოვოს ტფ. გუბერნატორს, რომ ეს ქარხნები ქალაქ გარედ იქმნან გადატანილნი; 9) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ უსუფთაობათა ჩამოსასვლელ ორმოებში რკინის ცხრილების მაგიერ სიფონები იქმნას გაკეთებული; 10) უსათუოდ აღეკრძალოს ყველას აბანოებში და დაბახანის ხევში თეთრეულობის გარეცხვა; სამაგიეროდ გაიხსნას 10 ადგილას საქალაქო სამრეცხაოები; 11) დაევალოს ტრამვაის ადმინისტრაციას, რომ, სადაც ცხენები ჰყავს ის ადგილები მოჰფინოს ცემენტით და გაკეთდეს იქ მილები უსუფთაობის წრლეკისათვის; 12) ეთხოვოს გამგეობას, რომ სავალდებულოდ გახადოს ისეთი პოვოზკები ასაშენებელ მასალის გადასაზიდავად, რომელნიც მაგრად არიან გაკეთებული და თავდახურულნი; 13) ეთხოვოს ტფილისის სამოსამართლო პალატის თავჯდო-

მარეს, რომ სანიტარულ უწესოებათა საქმეები მომრიგებელ-მოსამართლეებმა დაუყონებლივ განიხილონ ხოლმე საჩივარი ოქმის მიღებისთანავე; 14) ეთხოვოს საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებას, დაავალოს ექიმთ, რომ მათ დაუყონებლივ აცნობონ ხოლმე კომისიას რაიმე გადამდები სენი თუ აღმოაჩინეს; 15) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ მალე წარედგინოს საბჭოს პროექტი ქალაქის წყლის მილის გაფართოვების შესახებ; 16) ეთხოვოს სათანადო უწყებას, რომ ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიის თავჯდომარე აღიარებულ იქმნას საგუბერნიო სასანიტარო კომისიის წევრად და 17) ეთხოვოს გამგეობას, რომ მან მოსთხოვოს საბჭოს კრედიტი ამ დადგენილებათა მე-2 მუხლის აღსასრულებლად 1215 მან. და მე-6 მუხლის აღსასრულებლად 2826 მან., სულ 4041 მანათი.

✦ ქართულ **სახალხო წარმოდგენათა** მმართველი სექცია ათავებს წარმოდგენების სეზონს ხუთშაბათს, 25 მაისს. ამ დღეს წარმოდგენილი იქნება ავ. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. დასასრულ ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები გუტენბერგის ცხოვრებიდან.

✦ ალავერდის ეპისკოპოზი **კირიონ** გუშინ საქმეებისა გამო წავიდა ცხინვალში, საიდანაც ამ დღეებშივე დაბრუნდება.

✦ 26 მაისს (11 ივნისს) ქალაქ ანტვერპენში დანიშნულია საგანგებო კრება **გურიის სამთო და სანავთო მრეწველობის** უსახელო საზოგადოების წევრთა. კრებას წარედგინება საზოგადოების საფინანსო ანგარიში და აგრეთვე წინადადება საზოგადოების დახურვის შესახებ.

✦ სახაზინო რკინის გზების მმართველობას გადაუწყვეტია ეხლავ შეუდგეს **მგზავრთა გადაზიდვის პირობათა გაუმჯობესობას**. ამისათვის განზრახულია: განსაზღვრა მოგზაურთა რიცხვისა ყოველ მატარებლისთვის; მატარებელთა მომატება; მომატება ლოკომოტივებისა და ვაგონებისა; დანიშვნა დამატებითი მატარებლებისა, თუ რომელიმე სადგურზე შემთხვევით ბევრმა მგზავრმა მოიყარა თავი.

✦ რუსეთის რკინის გზათა უფროს ინსპექტორს ა. ნ. გორჩაკოვს შუამდგომლობა აღუძრავს გზათა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ გაუმჯობესებულ იქმნან **პირობები მუშების მოგზაურობისა** რკინის გზებით. შუამდგომლობა გადაეცა განსახილველად საგანგებო კომისიას.

✦ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ თავის დროზე, რომ სამიწად-მოქმედო სამინისტრომ დააარსა ქ. ოზურგეთის ახლო **თუთუნის სანიმუშო პლანტაცია**. როგორც გვატყობინებენ, პლანტაციის მოწყობის საქმე მსწრაფლად მიდის. მუშების სადგომი უკვე ააგეს და მოტანილია მასალა ყველა დანარჩენ სადგომ-შენობათა ასაგებად. პლანტაცია გაშენდება ზვანის აგარაკში, 30 დესეტინაზე, ოზურგეთიდან $1^1/_2$ ვერსის სიშორეზე. თუთუნის გარდა შემდეგში აქვე აპირებენ საცდელად სხვა-და-სხვა ძვირფას მცენარეთა მოშენებას. სულ პლანტაციის მოსაწყობად გადადებულია 8400 მან. გამგედ დანიშნულია თ. ერმ. ნაკაშიძე.

✦ პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა ზ. კოვალიოვმა წარუდგინა გამგეობას პროექტი **ცეცხლის მქრობ რაზმის** გაძლიერებისა და ზოგიერთი მანქანების შეძენის შესახებ. მისი ანგარიშით ეხლავე საჭიროა 6000 მან. დახარჯვა და მე-10 და მე-7 პოლიციის ნაწილებში პატარა რაზმების ყოლა.

✦ კვირას, 21 მაისს, ტფილისის საბჭოს დარბაზში შესდგა **საქალაქო საურთიერთო დამზღვევდ საზოგადოების წევრთა წლიური კრება**, რომელზედაც დაამტკიცეს წარსული წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა. გამგეობის თავმჯდომარეთ ამორჩეულ იქმნა ისევ პ. ა. ალიბეკოვი.

✦ ამას წინად სათანადო უწყებაში აღძრული იყო კითხვა საზღვარგარედ გასატან **ნავთზე ბაჟის დადების შესახებ**. ამ საშუალებით ჰფიქრობენ ნავთის გაიაფებას რუსეთში ქარხნებში და ფაბრიკებში სახმარებლად. ამ ჟამად ფინანსთა სამინისტრომ უარჰყო ეს პროექტი და განაცხადა, რომ მიღებულია ზომები ქვანახშირისა და ნავთის წარმოების გაძლიერებისათვის და ეს თვით გააიაფებს ნავთსაო.

✦ ხვალ, 24 მაისს, **სახაზინო** თეატრში დანიშნულია დრამატიული სალამო საკონცერტო განყოფილებით. სალამოში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ნ. ა. პაპაიანისა. შემოსავალი გადაიდება **ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის** ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ კავკასიის საექიმო ნაწილის მმართველობა (ტფილისი, საპიორნის ქუჩა, სახლი № 51) **იწვევს** მსურველ **ექიმთ** სამსახურისათვის საექიმო სადგურებზე—ოლთისში, შარურში, ასტარუს, ლენქორანში და პეტროვსკში. **ჯამაგირი** დაენიშნებათ თანახმად 554 მუხ. სახელმწიფო სამსახ. წესდებულებისა, 1896 წლის გამოცემისა. მსურველებმა განცხადება უნდა გამოგზავნონ ზემოაღნიშნულ ადრესით.

✦ ამ ახლო ხანებში პარიზის გამოფენისათვის გამოიცა **სტატისტიკური აღწერილობა რუსეთის გზათა** მდგომარეობისა. მოგვყავს ამ აღწერილობიდან შემდეგი საინტერესო ცნობანი: რკინის გზების სიგრძე 1892 წელს იყო რუსეთში 30,625 ვერსი, 1900 წლისთვის კი შეიქნა 51,432 ვერსი, ლოკომოტივთა რიცხვი 1898 წ. იყო 9553, სამგზავრო ვაგონებისა—11,977 ð საქონლის—223,860 ვაგონი. ყველა რკინის გზების გაკეთებას მოუნდა 3,958 მილიონი მანეთი. მოგზაურთა რიცხვი ყველა რკინის გზებზე 1892 წელს ყოფილა 38,8 მილიონი, 1897 წელს კი 74,7 მილიონი; საქონელი გადაუზიდავთ 1892 წელს 2,754 მილიონი ფუთი, 1897 წელს კი 6,819 მილიონი ფუთი. სავარაუდო შემოსავალი რკინის გზებს ჰქონიათ 1871 წ. 121,3 მილიონი მანეთი, 1897 წელს კი 473,4 მილიონი მანეთი, წმინდა შემოსავალი კი 1871 წ. ყოფილა 45,2 მილიონი მანეთი, 1897 წელს კი 179,3 მილიონი მანეთი. წმინდა შემოსავალი მხოლოდ საქონლის მატარებლებიდამ რჩება, მგზავრთა მატარებლებს კი რუსეთშიაც და საზღვარ გარეთაც ზარალი მოაქვს.

✦ ელექტრონის მანქანების და განათების მომწყობ ფირმას „გელიოსს“ წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის—მიიწვიოს მასი წარმომადგენელიც ტფილისში ელექტრონით განათების მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად. ახლა მხოლოდ შუკერტის ფირმის წარმომადგენელთან აქვს გამგეობას მოლაპარაკება.

✦ ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით **შესდგა სატეხნიკო კომისია**, რომელმაც დაათვალიერა ყველგან კერძოთ მოწყობილი ელექტრონის მანქანები და სახლები. კომისიას დავალებული აქვს ეს სახლები უზრუნველ ჰყოს ცეცხლისაგან.

✦ გუშინ-წინ, 21 მაისს, სალამოს 6 საათზე, პანასევიჩის ქუჩიდან ორი პატარა ყმაწვილით 12 წლის მუნჯი ქალი წასულა კვირაცხოვლისაკენ სასეირნოთ. იქ რეზინებ გადაკრული ეტლით დასწევიან ორი ვიღაც ჩოხოსანი, ქალი ხელათ ჩაუსვამთ ეტლში და გაქცეულან.

✦ ჩვენს მკითხველებს უკვე ვაცნობეთ **ცეცხლის გაჩენის ამბავი ჭიათურაში**. ამის შესახებ „ივერიაში“ ვკითხულობთ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს: «8 მაისს, ნაშუადღევის 2—3 საათზე, ჭიათურაში იფეთქა საშინელმა რომელმაც ცეცხლმა, 250 სხვა-და სხვა სავაჭრო და საწყობი დუქანი, საქონლით სავსე,ორის საათის განმავლობაში ნაცრად აქცია. ამასთანავე გადაიწვა რამდენიმე თავლა შიგ დაბმულის ცხენებით და ხარებით. საშინელს სურათს წარმოადგენდა ამ დროს ჭიათურა: ქალებისა და ბავშვების ტირილ-კივილს საზღვარი არა ჰქონდა; ბევრმა არც თუ კარაფერი ვერ გამოიტანა სახლიდგან, თითონაც ძლივ გამოასწრო სახლიდგან გამოსვლა შიშველ-ტიტველმა. ზოგიერთ ვაჭრებს საქონლის გარდა ფულიც ბევრი დაეკარგათ. ერთობ ბევრი დარჩა უღუკმო-ფუროდ და უპატრონოთ. ქვით და ქვიშით აშენებული სახლები და მოპოვებული სავაჭრო საქონელი ბევრს მოუსპო ამ ორ საათში ულმობელმა ცეცხლმა. წყლით ცეცხლის გაქრობა ძალიან გაუძნელდათ, რადგან ცეცხლის საქრობი მანქანა არა აქვს ჭიათურას, მხოლოდ მთელი ჭიათურა გადაარჩინეს სრულიად გადაწვას იმით, რომ ხის შენობები დაანგრიეს, რათ ერთი სახლიდგან მეორეზე ცეცხლი!არ გადასულიყო. პოლიციელები ბევრს ეცადნენ ამ არეულობის დროს ქურდობა არ მომხდარიყო, გზები შეჰკრეს, თანაც განთიადმა მოატანა, მაგრამ ქურდ-ბაცაცებმა მაინც მრავალი საქონელი იგდეს ხელთ, თუმცა დამალვა ვერ მოასწრეს და ამიტომ ბევრი ვერა წაიღეს-რა. შემთხვევით დაესწრო ამ დროს აქ ჭიათურაში ბოქაულად ნამყოფი ბ-ნი ნესტორ ნიკოლოზის ძე არდიშვილი, რომელიც თავ-გამოდებით შეებრძოლა გაგიჟებულ ცეცხლს და ბევრი გადაარჩინა უბედურებას.

ჭიათურას ჯერ კიდევ ბევრი-რამ აკლია, მაგრამ ყველაზედ მეტად საჭირო იმისთვის ცეცხლის მქრობელი რაზმი და საჭირო მანქანები.ეს მეორეთ დაიწვა ჭიათურა, და რომ ცეცხლის საქრობი მანქანები გვქონოდა, ამოდენა ზარალს ცეცხლი ვერ მოახდენდა, რადგან ჭიათურა მდინარე ყვირილას ნაპირას არის გაშენებული. როგორც აღმოჩნდა პოლიციის შემოწმებით, ზარალი თითქმის 120,000 მანეთს აღემატება.

ყველაზე მეტი ზარალი მოუვიდა ბერძენს ისაკ იეროღლის, კონსტანტინე ქურციკიძეს, თეიმურაზ გუ-

რულს, ჯიბო იაშვილს, იაკობ გაშაძეს, პავლე გურულს, პლატონ მშვიდობაძეს, ძმათა პორფირე და ტრიფონ ნიორაძეებს და სხვებს.

✦ ამ დღეებში გაჩენილს ცეცხლს სასტუმრო «ორიანტისათვის» მიუცია 15.000 მან. ზარალი, რომელიც უნდა უზღოს სახლის პატრონსა და სასტუმროს პატრონს ტფილისის საქალაქო საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებამ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**22 მაისი**

**პეტერბურგი.** 21 მაისს პეტერბურგს დაბრუნდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე.

**პრეტორია.** იოჰანესბურგი ოფიციალურად გარდაეცა ინგლისელებს 18 მაისს. ბანაკებს იცავენ ჯარები. ქალაქის გადაცემამდე ბრძოლა მოხდა ქალაქს გარედ. შემდეგ ინგლისის გენერალს აცნობეს, რომ ქალაქი არ გაუწევს წინააღმდეგობას ინგლისელთ.

რობერტსი იტყობინება იოჰანესბურგიდან: „ერთი ბრიგადა დარჩება აქ წეს-რიგის დასაცველად, დანარჩენი ჯარი ბანაკათ სდგება პრეტორიისაკენ მიმავალ გზაზე, იოჰანესბურგი თითქმის დაცარიელდა. როდესაც ააფრიალეს ინგლისის დროშა და ჯარებმა მის წინ გაიარეს, მაშინ შეგროვდა ხალხი. იოჰანესბურგში მშვიდობიანობა ჰსუფევს, მცხოვრებნი იარაღს ჰყრიან. იოჰანესბურგის გარეთ მომხდარ ბრძოლაში ტყვედ იქმნენ წაყვანილნი ზაუტგაუზბერგელი ბოტა, ფელდ კორნეტი და 100 ბური, მათ შორის რამდენიმე უცხოელიც. იომანრის რაზმს კრონშტადტსა და ლინდლეის შუა თავს დაესხა ბურების რაზმი; ინგლისელებმა საკმაოდ იზარალეს“.

**ბერლინი.** ხმა, ვითომც ვილჰელმს განზრახვა ჰქონდეს ვენაში წავიდეს და პირადათ მიულოცოს ფრანც-იოსებს დაბადები დღესასწაული, სიმართლეს მოკლებულია.

**ლისაბონი.** პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ პრეტორიას არ მიუღი ტრანსვაალისაგან არავითარი ულტიმეტუმი; პორტუგალიისა და ტრანსვალის საზღვრებზედ აფრიკაში ბრძოლა არ ყოფილა.

**მოსკოვი.** მოსკოვ-არხანგელის რკინის გზის მმართველობაში მომხდარ ბოროტების ჩადენთ ჩააბარეს ბრალდებითი ოქმები. ბრალდებათ: სავვა და ნიკოლოზ ივანესძეთ, სერგი და ვსევოლოდ სავვას ძეთ მამონტოვებს, აზნაურ არციბაშევს და საპატიო მოქალაქეს კრივოშეინს.

**ტაგანროგი.** ტაგანროგის ოლქის სოფ. ურინიხანში უცნობი ბოროტ-გამზრახველნი შეცვივდნენ სასოფლო სამმართველოში; მოჰკლეს დარაჯი და ორი პოლიციელი და წაიღეს 3000 მანეთი.

კალჩინისა და კიჩიკსუს სადგურებ შუა ორი საქონლის მატარებელი დაეჯახა ერთმანეთს; დაისხვრა 5 ვაგონი; მოკლულია რამდენიმე კაცი.

**პოლტავა.** სკიცკების საქსიმ გარჩევა სწარმოებს; ჩვენებას აძლევენ მოწმები. სამშაბათს სასამართლო დაათვალიერებს იმ ადგილს, სადაც კამაროვი იქმნა მოკლული. ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებით მტკიცდება, რომ სკიცკები 14 ივლისს, კომაროვის მოკვლის დღეს, ნაშუადღევის 1—3 საათამდე, სწორედ იმ დროს, როდესაც მოხდა ეს მკვლელობა, იმყოფებოდნენ ქალაქის მეორე მხარეს.

**რომი.** პალატის წევრების არჩევნები მთელს იტალიაში მშვიდობიანათ დასრულდა. რომში არჩეულ იქმნენ ისევ სამინისტროს მომხრენი—ბაჩელლი, ტორლონია და სანტინი, აგრეთვე რესპუბლიკანები—ბორჯილაია და მაცცა. პალერმოში აირჩიეს ისევ კრისპი.

**ცეტინიე.** ჩაყარეს საძირკველი რუსეთის საელჩოს შენობისა; დაესწრნენ მთავარის ოჯახობა, მთავრობის წევრნი და უცხოეთის ელჩები.

დრ. რედ. **ალ. ჯუღელია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი მროხისა | . | 1 | გ. | 10 კ. |
| სუკი | . . . . . | » | — | 15 კ. |
| » ცხვრისა | . . . | » | — | 8½ კ. |
| » ღორისა | . . . | 1 | — | 8 კ. |
| » კამეჩისა | » » | » | — | 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორჯეთი | . . | 1 | » | —10 კ. |

(მროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | 3½ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | 3½ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კუკზადეზე,

| | | მ. | კ. | მ. კ., |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | —85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | —— |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შუშა რცხილის 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორ ზადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 9 მ. 50 კ.-მდე, მროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მესაბმელი— მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კასეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კუკიის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გეუზოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4.** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მოდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—კომ9 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მოდის დილის 6 ს. 45 წ.

რიონიდგან ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

ქუთაისიდგან რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

შორაპნიდან ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის დს.ი 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. 6 ღსით

ჭიათურაში მიდის პირველი— დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

ჭიათურიდგან შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორედამის— 2 ს. 05 წ.

მიხაილოვიდგან სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

სურამიდგან მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

ქუთაისიდგან ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

თბილისიდან ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მცხეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღისაღამოს 5 ს. 35 წ.

ვლადიკავკასიდგან: ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 26 მაისს, ამა 1900 წელს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შესახებ 700 ოთხკუთხი საჟენის ზაქსის (გრანიტი) კუბიკების ჩაბარებისა ქალაქის ქუჩების დასაფენად. ვისაც ჰსურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში, შეუძლია პირობები გასინჯოს გამგეობის მესამე განყოფილებაში (სატეხნიკო) ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, (ნ 3—1)

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 26 მაისს, ამა 1900 წელს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მეხამეთათვის შენობის აგებაზე, საქალაქო საავადმყოფოსთან მე-7 პოლიციის ნაწილში, ქ. ტფილისში, ნავთლუღში; შენობა 5700 მან. ღირება. ვისაც ჰსურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში, პირობანი შეუძლიან გასინჯოს გამგეობის მესამე სატეხნიკო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ნ. 3—1

---

**ბორჯომში**

ქირავდება და ისყიდება მოწყობილი «დაჩა» ი. ა. აბესალომოვისეული და აწ-ქალაქ ტფილისის საკუთრება. სადგომი შესდგება 5 ოთახიდან ქვემო სართულში და 4-დან ზემო სართულში. პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში. (ნ. 3—2)

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პოკვლონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. ზ. ბუნია.